გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
| --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასახეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ფრეილინის ქუჩა, ხასტამოვის სახლი, № 5, ხიდველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


**გაზეთი „ივერია“ პირველ ნოემბრიდამ წლის დამლევამდე ღირს 2 მ. 75 კ.**

ტფილისი, 31 ოქტომბერი

ამ ბოლოს ხანებში ჩვენმა კავკასიამ მოიზიდა ყურადღება ქვეყნისა. ყველამ დაინახა, რომ ამ პატარას, მაგრამ ყოველისფრით მომადლებულს მხარეს შეუძლიან დიდი და მრავალ გვარი სიმდიდრე შესძინოს როგორც თავის თავს, ისეც რუსეთსა. ამის გამო თვით რუსეთის უმაღლესი მთავრობაც შეუდგა იმისთანა ღონის-ძიებანი აღმოაჩინოს და იხმაროს, რომ ეს მშვენიერი „კუთხე ქვეყნისა“ ფეხზედ დადგეს და გასამდიდრებლად წარმატებას მიეცეს.

აი ეხლაც რუსეთის გაზეთები *) გვაუწყებენ, რომ აზრადა აქვსთო მომავალს წელს მხნედ მოეკიდნენ სასოფლო მეურნეობის საქმეს კავკასიაში და მრავალ გვარი შტო ამ მეურნეობისა შეძლებისამებრ აღორძინონ და წაახალისონო. კავკასიის თავად-აზნაურობამაო იშუამდგომელა უმაღლესის მთავრობის წინაშე, რომ რაც შეიძლება მალე შეუდგნენ იმ ღონის-ძიებათა განხორციელებას, რომელიც ესე საჭიროა აქაურ სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლადა და წასახალისებლადაო.

არ ვიცით, რამოდენად მართალია ეს სასიხარულო ამბავი და თუ მართალია, სასურველია ვიცოდეთ რომელს თავად-აზნაურობას გაუწევია თავის სასახელოდ ასეთი მართებული და ღირსეული შუამდგომელობა მთავრობის წინაშე. სამწუხაროდ, გაზეთები ნიშნობლივ არ გვაუწყებენ რომელი თავად-აზნაურობაა ასეთი გულ-შემატკივარი ქვეყნისა და იხსენიებენ იმ თავად-აზნაურობას მთელის კავკასიის სახელით ზოგადად და არა სახელდობრ ცალკე.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჩვენი საქართველოს თავად-აზნაურობა ამისთანა შუამდგომელობაზედ არ მოსცდებოდა. ეს შუამდგომელობა საქვეყნო საქმეს შეეხება და სად ჩვენი თავად-აზნაურობა და სად საქვეყნო საქმე!.. ჩვენს თავად-აზნაურობას თავისი საკუთარი დარდი და ნაღველი აქვს და სხვისთვის სადა აქვს მოცლა, რომ იზრუნოს და ინაღვლოს? ჩვენი თავად-აზნაურობა, ანუ უკეთ ვსთქვათ, მისი წარმომადგენელნი ქვეყნის საკეთილოდ ყველაზედ უწინარეს იმასა ჰხედავენ, რომ პრიკაზის ვალი როგორმე აღსნან და ამის გარედ თუნდ ქვა ქვაზედაც ნუღარ დარჩება, ბევრს არას ინაღვლიან.

მართალია, ჩვენმა თავად-აზნაურობამ ამ უკანასკნელ საგუბერნიო კრებაში ერთ-ხმად განაჩენი დაადგინა, რომ გვეყოფა ამდენი სათაკილო ღიჯინი: «გვაპატიე, გვაჩუქეო»; სხვა არა იყოს-რა, სირცხვილია ამდენი მათხოვრობა და ამიტომაც ნუღარ ვახსენებთ პრიკაზის საქმეს მთელ სათავად-აზნაურო საქმედაო და მთავრობასაც ნუღარ შევაწუხებთ ასიოდე კაცის გულისათვის მთელის თავად-აზნაურობის სახელითაო, მაგრამ... მაგრამ რა? მაგრამ ის, რომ მაინც და მაინც ამ პრიკაზის საქმეს ვეპოტინებით თავად-აზნაურობის სახელითა და გვსურს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ ეს პრიკაზის ვალის პატიება გულზედ დასადებ მალამოდ იწამოს.

იმისთანა საქმეები-კი, როგორც, მაგალითად, ზემოხსენებული შუამდგომლობაა სასოფლო მეურნეობის განკარგებისა და გავარჯიშებისათვის და ბევრი მისებრივე ჩვენს თავად-აზნაურობას არაფრად მიაჩნია და მაშინ, როცა სხვანი საქმეს ირიგებენ, ჩვენ წრეს კარედა ვრჩებით. ესევე, რასაკვირველია, შესაძლოა დაგვემართოს დღესაც, [illegible] მთავრობას ძოუწდინებია [illegible] კავკასიაში სასოფლო მეურნეობის საქმის განკარგებას და გაძლიერებას. საფიქრებელია, რომ აქ სახეში აქვთ მეურნეობა იმიერ-კავკასიის მხარისა და ვინ იცის, ეგ კეთილი განზრახვა ჩვენც გაგვეზიარება, თუ არა? თუ გაგვეზიარება ჩვენდა სასიხარულოდ, მთავრობის გულმტკივნეულობის მადლობელნი უნდა ვიყვნეთ და არა ჩვენის თავად-აზნაურობისა, რომელსაც ამისთანაებში ყველას დარდი და ნაღველი თავის დარდად და ნაღველად არ მიაჩნია ხოლმე. ადვილად საფიქრებელია, რომ მარტო იმიერ-კავკასიის თავად-აზნაურობა ჰცდილა იმიერ-კავკასიის სასოფლო მეურნეობა შეებრალებინა მთავრობისათვის და ამ მხრით შველა და შეწეობა ეთხოვნა მთელის თავის მხარის საკეთილდღეოდ. ჩვენებურნი-კი აბა რად ამოიღებდნენ ამაზედ ხმას და რად გაირჯებოდნენ!.. პრიკაზის ვალის პატიება იყოს, კიდევ ჰო, თორემ სასოფლო მეურნეობის სიკეთე ყველას საქმეა და თავად-აზნაურობა საყოველთაო საქმისათვის რად შეიწუხებს თავსა.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ ტფილისის მანდილოსნობას, კავკასიის მთავარ-[illegible] მეუღლის თაოსნობით, მათ უდიდებულესობათა საშინელის განსაცდელისაგან გადარჩენის სახსოვრად, განუზრახავს მიართვას ხელმწიფე იმპერატრიცას ღვთისმშობლის ხატი.

*** წელს, სამღვდელოების უკანასკნელს კრებაზე, დადგენილი იყო, რომ კავკავის სასულიერო სასწავლებლის შეგირდები, იქ სწავლის დამთავრების შემდეგ, ტფილისის სასულიერო სემინარიაში გადმოიყვანონ ხოლმე. რადგანაც სემინარიაში არ იყო საკმაო ვაკანსია, ამიტომ სემინარიის მთავრობას უნდა ეთხოვნა უწმინდესის სინოდისათვის პანსიონერების ვაკანსიების მომატება. სემინარიის მთავრობას უკვე გაუგზავნია ქაღალდი და უთხოვნია 80 ვაკანსიის მომატება.

*** ტფილისის მეიდნებზე ქალაქს გამართული აქვს საქალაქო სასწორები. აქამდე ქალაქს ვერ გაუბედნია და ახალის სისტემის სასწორი ვერ შემოუღია ძველის ულიანის სასწორის მაგიერ, რადგანაც ხალხი ძველს უფრო უჯერებს. ეხლა-კი ტფილისის გამგეობას განუზრახავს პირველ იანვრიდგან საცდელად გამართოს ათეული სასწორი ნაცვლად ძველისა. ამ ახალ სასწორთან ერთად ძველი სასწორიც იქნება „ურწმუნოთათვის“. მომავალში ქალაქს განზრახვა აქვს გამართოს აგრეთვე საქონლის საწყობები.

*** ტფილისში მილის წყლის გამ-[illegible] 34 კაცი ჰყავს 34 კრანზე. ამათი მოვალეობა წყლის გაყიდვაა დილის 6 საათიდგან საღამოს 6 საათამდე. მხოლოდ შუადღისას ერთი საათი აქვსთ თავისუფალი პურის საჭმელად. წარსულს ზამთარში ბევრი მათგანი ხდებოდა

*) Рус. Кур. № 296.

## ფელეტონი

### ძველი და ახალი თაობა

დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტანა ყვავილი.

ნ. ბარათაშვილი

#### VII

ამ უკანასკნელმა წერილმა ძალიან დაიგვიანა. მე რომ თითონ ვყოფილიყავ ამ დაგვიანების მიზეზი, სრულებით მივანებებდი თავს ძველსაცა და ახალს თაობასაც და კიდევ ბევრს სხვა რასმესაც და პირდაპირ ჩვეულებრივის მეთვალყურის მოვალეობას შევუდგებოდი, მაგრამ რადგანაც აქ იმდენადვე ჩემი დანაშაულია, რამდენადაც თქვენი, ჩემო კარგო მკითხველო, ამიტომ ნება მომეცით და გამათავებინეთ სიტყვა.

ამასთანავე რადგანაც უფროს-ერთს ჩვენს მკითხველს ჯერ არა აქვს ჩვეულება დაიმახსოვროს ამოკითხული აზრი, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მოვაგონოთ საზოგადო შინაარსი წარსულის წერილებისა, რომ დღევანდელი მოსაზრება არ იყოს მისთვის სრულებით მოულოდნელი და დაუსაბუთებელი.

ამ წერილებით ჩვენ გვინდოდა გავეტარებინა საზოგადო ფარდი ძველსა და ახალს თაობას შორის. რადგანაც ყოველი ამბავი, ყოველი ფაქტი და მოვლენა შედეგია სხვა-და-სხვა გარემოებისა და ამასთანავე ბოლოს თვით ეს ფაქტიც შეიქმნება ხოლმე ახალ გარემოებად, რომელსაც უნდა შემდეგში მოჰყვეს ახალი ფაქტი, ახალი ამბავი, ამიტომ ჩვენ შეძლებისამებრ გადავსინჯეთ ის რთული პოლიტიკური, ისტორიული, საზოგადოებრივი და ოჯახური გარემოება, რომელმაც დაჰბადა ჩვენში თავისუფალი მოაზრე და თვალ-საჩინო მეშრომე თერგ-დალეულთა თაობა.

დიდი ლარი და ხაზი არ დაგვჭირდება მკითხველის დასაჯერებლად, რომ თუ-კი ყოველივე ჩამოთვლილი გარემოება ხელ-უხლებელი დარჩებოდა, ახალი თაობა, სულ-ჩადგმული თერგ-დალეულთა მოღვაწეობით, უფრო ბევრს შესამატს შეჰმატებდა ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, გარემოება სრულებით, ძირეულად შეიცვალა, დადგა სხვა დრო, რომლის შემაყურალს ძალა-უნებურად მოაგონდება ამ წერილების სათაურში მოყვანილი პოეტის მწარე სიტყვები —

დამქროლა ქარმან სასტიკმან,
თან წარმიტანა ყვავილი.

თუმცა ადვილად შეგვეძლო უფრო ცხოვლად დაგვეხატნა მკითხველისათვის სურათი ჩვენის ყოფა-ცხოვრების შეცვლისა სამოციან წლების შემდეგ, მაგრამ რამაც მკითხველამდე მიაღწია, იქიდამაც საკმარისადა სჩანს, რამდენად გაძნელდა ახალგაზდობისათვის ჯერ სწავლა და შემდეგ სამსახური ქვეყნისა. გარემოებათა სასტიკმა ვითარებამ შეაკვეცა ფრთები ახალგაზდის აზრსაცა და გრძნობასაც, და ამიტომაც ვერც სურვილისამებრ დააჩნია თავისი ჭდე ახალგაზდამ ჩვენს ცხოვრებას.

Не расцвѣлъ и отцвѣлъ
Въ утрѣ пасмурныхъ дней,

რომ ამბობს რუსეთის გამოჩენილი პოეტი, თითქო ქართველი ახალგაზდობა ჰყოლია სახეშიო, ისეა მასზედ გამოჭრილი ეს სიტყვები... ასეთი დილა გაუთენდა ჩვენს ახალგაზდობას, ასეთი ავდარი დაატყდა მას თავზედ...

ამითი გავათავეთ მეექვსე მუხლი ჩვენის წერილებისა. ეხლა განვაგრძოთ.

**

მეტყვიან — ჩვენ ხომ არას ვამბობთ იმ გარემოებაზე, რომელმაც დაჰბადა დღევანდელი ქართველი ახალგაზდობა, ჩვენ მხოლოდ ავიღეთ ფაქტი, შევადარეთ დღევანდელი ახალგაზდობა თერგ-დალეულებს და ვუსაყვედურეთ უაზრობა, უცოდინარობა და უნიჭობა ახალს თაობასაო. მაშინ - როდესაც თერგ-დალეული იყო კაცი მოქალაქე, შეთვისებული და შეხორცებული ჰქონდა თავისის დროის აზრები, აღტაცებული იყო ხალხის, საზოგადოების, მეგობრის, ამხანაგის სიყვარულით და როდესაც ამ ღირსებათა წყალობით თერგ-დალეულმა დაასო ბეჭედი თავისის არსებობისა ჩვენს ცხოვრებასაო, — ამავე დროს ახალგაზდობა უსაგნოა და ქვეყნისათვის გამოუსადეგი, არ შეუძლიან არც ქვეყნის სათანადო სიყვარული, არც მეგობრობა, არც ერთი და არც მეორეო. „გულ-ქვაობა ბეჭედია მისის შუბლისაო“, და თერგ-დალეულიც აბა სწორედ მაგ ამბავმა დაღონა, რომ შემდეგ მათის ბრწყინვალე თაობისა ჩვენ ხელთა გვყავს თაობა რაღაც წვრილ-ფეხობისა, რომელსაც რაც უფრო მეტად გაჰკილავ და ძირს დასწევ, მით უფრო კარგია — სხვა არა იყოს-რა, გულს მაინც მოიფხან და მოიოხებო.

მე მოზიარეობას სრულიადაც ვერ გაუწევ ამისთანა უიმედო შეხედულობას ჩვენის ახალგაზდობის შესახებ და ამის საბუთსაც ეხლავე მოგახსენებთ, ეს ერთი. გინდ ესეც არ იყოს და არც საბუთი მოგვეძებნებოდეს, მაინც უადგილოდ მიგვაჩნია კილვა ცალკე კაცისა, თუ მთელის კრებულისა, როდესაც იცი, რომ აქ დანაშაული აძევს მთელის ცხოვრების ვითარებას და არა თვითოეულის სურვილსა და განზრახვას. ესეც მეორე.

მართლაც-და თუ-კი გარემოებათა ვითარებამ ისეთი ფხა გამოიჩინა, რომ ერთიანად შეჰკრა და შეჰბოჭა ადამიანი, მაღლა აღარ აახედა, მაშინ ან უვიცი უნდა იყო საქმისა, ან მეტის-მეტად გულ-ქვავი, რომ წამოავლო ხელი მათრახს, მისდგე განსაკითხველ მსხვერპლს და უწყალოდ სულ ზურგზე ბოლი აადინო. შე კაი კაცო, თუ კი მართლა რაიმე უნარი მოუმადლებია შენთვის უზენაესს, რას ემართლები საცოდავს მსხვერპლს და რაზე უმწარებ უიმისოდაც ჩამწარებულსა და ჩაშხამებულს სიცოცხლეს! განა უფრო უკეთესი არ იქნება შენი ძალა მოახმარო იმ კეთილშობილ მეცადინეობას, რომელსაც საგნადა აქვს სასურველად უცვალოს ფერი გარემოებათა ვითარებას და ამით შეამსუბუქოს მძიმე ტვირთი უდანაშაულო მსხვერპლისა!.. მარტო უბრალო და სადა სამართლიანობაც-კი მოითხოვს შენგან ამისთანა საქციელს. თორემ უკეთუ მართლა შეგტკივა გული ქვეყნისათვის და გატაცებული ხარ ჭეშმარიტების გავრცელების სურვილით, მაშინ ხომ პირ-იქით უნდა გადაეფაფრო და შენის მფარველობის ქვეშ აიყვანო ფერ-მიხდილი და ულონო მსხვერპლი, გინდაც რომ ეგ მფარველობა დიდს რასმე არ წარმოადგენდეს.

**

ხოლო აკი მოგახსენეთ, რომ მე ვერავისთან მოზიარე ვერ გავხდები, ვითომც ჩვენი ახალგაზდობა ისეთს უიმედო ყოფაში იყოს, რომ იმის სასარგებლოდ ხმის ამოღება აღარ შეიძლებოდეს. თუმცა დიდად მართალია, რომ ძირეულად შეიცვალა გარემოება სამოც-და-ათიან წელთა ახალგაზდობისა, თუმცა უკანასკნელი იქამდე უბედური იყო, რომ, წინააღმდეგ სწავლის ცხარე წყურვილისა, მომეტებულ ნაწილად, ვერ დაიმთავრა განათლება არა თუ უმაღლესს სასწავლებლებში, არამედ საშუალო სასწავლებლებშიაც-კი,

ავად, რადგანაც მთელი დღე თოვლსა და წვიმაში ცის ქვეშ ატარებდნენ. ქალაქის გამგეობამ შარშანვე ხუთ-ექვსს ადგილს გააკეთა იმათთვის ფიცრული თავ-შესაფარი და ამას დასჯერდა, თითქო სხვებს-კი არ ეჭირებათ თავ-შესაფარიო. დროა, ქალაქის გამგეობამ დაბალ მოსამსახურეთათვისაც იზრუნოს.

** ეს ორი კვირაა, ქალაქის ზოგიერთს დუქნებში ჰყიდიან „მაშინის“ პურს. თეთრ პურს ჰყიდიან თითოს ორ შაურად, მაშინ როდესაც ორი გირვანქა არც-კია, და შავ პურსაც იმავე ფასად, თითო პურს სამ გირვანქაზე ნაკლებს. თუ მეფურნეებისათვისა და მეპურეებისათვის ნიხრია დადებული, ესენი რაღად ჰყიდიან თავიანთს ნებაზე.

** **კავკავიდგან გვწერენ:** სოფ. ულგინსკაში ოქტომბრის 21 შემდეგი უბედურება დატრიალდა: ამავე სოფელში მოვაჭრე არტემა ტფილისში წავიდა რაღაც საქმისთვის და დუქანში დასტოვა თავისი ძმა და ცოლის ძმა—ყაყადურელი ოსი ურთაევი. ამ დღეს არტემას დუქანში თოფი გავარდა; თოფის ხმაზედ მოგროვდა ხალხი და დუქანში არტემას ცოლის ძმა მკვდარი იპოვნა; მოკლულს ტყვია გულში ჰქონდა მოხვედრილი და არტემას ძმა-კი გარედ იჯდა. ხალხმა მკვდარი რომ ნახა, გამოვიდა გარედ და არტემას ძმასა ჰკითხა: ეს რა გიქნია, რად მოჰკალი კაციო? არტემას შეშინებულმა ძმამ უპასუხა, რომ არაფერი არ ვიციო. ზოგის აზრით, ამ ოსს თავი თვითონვე მოუკლავს.

** **ქუთაისიდგან გვწერენ:** ოქტომბრის 27-ს გიმნაზიის ერთმა შეგირდმა, 10—12 წლისამ, უცაბედად მოჰკლა რევოლვერით მეექვსე კლასის ყმაწვილი ფ—ი. ეს უბედურება ასე მოჰხდა: ორივენი ერთად შესულან დუქანში ხილის საყიდლად. ფ—ს უბეში რევოლვერი ჰქონებია. როცა ის ხილს ჰყიდულობდა, ბ—ვმა ამოართვა თურმე უბიდგან რევოლვერი და სინჯვა დაუწყო. ამ დროს გავარდა რევოლვერი, ტყვია ფ—ს ცხვირში მოჰხვდა და თავში გამოუვიდა. საბრალო ყმაწვილმა იქვე დალია სული.

## გადასინჯვა კონსტიტუციისა საფრანგეთში*)

როგორც ვიცით, დღევანდელმა მთავარ მინისტრმა რადიკალთა სამინისტროსამ ბ-ნმა ფლოკემ შეადგინა პროექტი 1875 წლის კონსტიტუციის შეცვლისათვის. ამ შეცვლით ფლოკეს უნდა აეცილოს ამ კონსტიტუციას სამი უმთავრესი ნაკლულევანება.

უპირველეს ყოვლისა ფლოკე ამბობს განმარტების წერილში, რომელიც პროექტთან ერთად წარუდგინა პალატას, რომ 1875 წლის კონსტიტუციის გამო ძალიან ბრკოლდება საკანონ-მდებელო მოღვაწეობაო. ამისი მიზეზი ის არის, რომ ყოველი კანონ-პროექტი უნდა განიხილოს დეპუტატთა პალატამ ცალკე და სენატმა კიდევ ცალკეო. მიზეზად უნდა მოვიხსენიოთ ის გარემოებაც, რომ დეპუტატთა პალატა განახლდება ხოლმე ერთბაშად და ამას ის მოსდევს, რომ პალატა ძალა-უნებურად შესწყვეტს ხოლმე მუშაობას, ხან სულ მიატოვებს დაწყებულს საქმეს, ხან კიდევ სანახევროდ გათავებულს მუშაობას. აი ამიტომ საჭიროა, ფლოკეს აზრით, ნაწილ-ნაწილ განახლდეს ხოლმე დეპუტატთა პალატა: ყოველს ორს წელიწადში ერთხელ გადადგეს დეპუტატობიდამ მესამედი წილი. ასეთს წესს თუ შემოვიღებთ, მაშინ უეჭველია უნდა გაუქმდეს უფლება დეპუტატთა პალატის დაშლისა და მის მუშაობის გადადებისაო. სენატიც, ფლოკეს აზრით, ნაწილ-ნაწილ უნდა განახლდეს ხოლმე მესამედობით ყოველ ორს წელიწადში ერთხელ. სენატს საჭიროა ჰქონდეს საერო ზედამხედველობა ყოველ გვარის კანონ-პროექტებისა, რომელსაც-კი წარმოადგენს ვინმეო; საფინანსო კანონების შესახებ სენატს ნება უნდა ჰქონდეს თავისი შენიშვნები წარუდგინოს დეპუტატთა პალატას, ხოლო თუ დეპუტატთა პალატამ არ შეიწყნარა ეს შენიშვნები, კანონები მაინც ძალაში უნდა შევიდესო.

მეორე ნაკლულევანებად 1875 წლის კონსტიტუციისა ფლოკეს ის მიაჩნია სხვათა შორის, რომ პალატების მუშაობას თითქმის განსაკუთრებით საპოლიტიკო ფერი და ხასიათი აქვს, პალატის წევრთ არ ეტყობათ დიდი ცოდნა, საქმიანობის უნარიო. ამ ნაკლულევანებას იმითი ეშველება, რომ დაარსდეს, ანუ შეიცვალოს დღევანდელი სახელმწიფო საბჭო და ამ საბჭოს მიენდოს როლი მრჩეველთა, მოთათბირეთა კანონების დამზადებისა და განსჯის საქმეშიო.

მესამე და უკანასკნელი ნაკლულევანება დღევანდელის კონსტიტუციისა, ფლოკეს აზრით, ის არის, რომ ხშირად იცვლება სამინისტროები და მტკიცე არ არის ადგილი რესპუბლიკის პრეზიდენტისა. სამინისტროს ხშირ ცვლილებათა მოსასპობად, ფლოკეს აზრით, საჭიროა მინისტრები ვადით ინიშნებოდნენ, იმ ვადით, რა ვადითაც დეპუტატთა პალატის განახლება იქმნება დანიშნული. ხოლო დეპუტატთა პალატას უფლება ექმნება მაინც, როცა უნდა, სენატის სამართალში მისცეს მინისტრები და ზოგიერთს შემთხვევაში გამოუცხადოს კიდეც, რომ თქვენ აღარ გენდობითო.

(დასასრული იქნება)

*) იხ. „ივერია“ №№ 221, 222, 223, 224, 225 და 226.

## წერილი ქუთაისიდგან

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ“ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად ახალი კაცი დანიშნა ბ-ნის ჯ—ას მაგიერად, რომელიც ინსპექტორის თანამდებობის დროებით აღმსრულებლად ითვლებოდა. ინსპექტორის თანამდებობის აღმსრულებელმა, როცა სკოლის კომიტეტმა აუწყა, მოახსენა თურმე კომიტეტს, რომ მე ქაღალდი მაქვს ხელ-მოწერილი ყველა მარშლებისაგან, გარდა გურიის მარშლისა, და ამ ქაღალდით ისინი მთხოვენ: არამც და არამც სკოლას თავი არ დაანებო გაზაფხულამდე, ესე იგი ზანგის საზოგადო კრებამდეო. რამდენად საფუძვლიანია, ან რა ღირსებისაა ეს პასუხი ბ-ნის ჯ—ასი, ეს თვით მკითხველმა განსაჯოს; მაგრამ ეს-კი საჭიროა ვიკითხოთ: ნუ თუ მართლა ბ-ნმა მარშლებმა ინებეს და ამ ნაირი ქაღალდი მისცეს ბ-ნს ჯ—იას? თუ ეს ამბავი მართალია, რისთვის ინებეს იმისთანა საქმეში გარევა, რომელიც იმათ სრულიად არ შეეხება. სკოლების საქმეთა გამგებლად ჩვენა გვყავს საზოგადოება, ღირსეულ და მცოდნე კაცთაგან შემდგარი. ამ საზოგადოებას სხვაზე უფრო ესმის საქმის რიგიანად და სინიდისიერად წარმართვა და ნუ თუ ბ-ნი მარშლები ეჭვით უყურებენ ამ საზოგადოების მოქმედებას? ასეც რომ იყოს, განა სიმართლე და საბუთი აქვსთ გაერიონ ისეთს საქმეში, რომელიც იმათ არ ეკითხებათ. მართალია, სათავად-აზნაურო სკოლას ხარჯს აძლევს თავად-აზნაურობა, მაგრამ სკოლის გამგებლობა-კი „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ეკუთვნის. და სანამ ასეა, არავის ნება არა აქვს «წერა-კითხვის საზოგადოებას» შეეცილოს.

გ.

## 17 ოქტომბრის უბედურება.

გაზეთები დღესაც 17 ოქტომბრის უბედურების თაობაზე ლაპარაკობენ. ზოგი სხვა-და-სხვა წვრილს გარემოებას მოგვითხრობს იმ უბედურებისას: ზოგი მიზეზს ეძებს, რა მიზეზით მოხდა, რომ მატარებელი რელსებს აცდა და ისეთი საშინელი უბედურება დატრიალდა, რომ კინაღამ ხელმწიფე იმპერატორს და მისს უავგუსტოესს სახლობას არ გამოგვასალმაო; ზოგი ეკამათება რომელსამე სხვა გაზეთს უბედურების მიზეზების გამო. უფრო ვრცელი წერილი ამ მიზეზების თაობაზე დაბეჭდილია გაზ. „Новое Вр.“-ში. ავტორი ამბობს ჯერ, რომ რუსეთში საზოგადოდ თითქმის ყველა გზები ცუდად არის ნაკეთებიო. გზის მკეთებელნიცა და პატრონებიცა ძალიან წუწურაქობდნენ, მომჭირნეობდნენ და არას არ იმეტებდნენ, რომ გზა ჯერ რიგიანად გაეკეთებულიყო და მერე კიდევ კარგად შეკეთებულიყოო. ცუდადაც აკეთებდნენ გზებს და არც ყურის გდება ჰქონდათ რიგიანი. მასალა გზისა მომჭირნეობის გამოვე უვარგისი იყო: არც რელსები, არც შპალები, არც სხვა მასალა ღირსებითა და რაოდენობით რიგიანი და საკმაო არ იყო ხოლმეო.

ამბობენ, ვითომ უბედურება იმიტომ მოხდა, რომ მატარებელი დიდის სისწრაფით მიდიოდა, ესე იგი 64 ვერსს გარბოდა საათშიო. მაგრამ ეს მიზეზი უბედურებას არ მოახდენდა. ასეთის სისწრაფით სიარული ძრიელ ხშირია, არა თუ საზღვარ-გარეთ, არამედ რუსეთშიაც. ფოსტის მატარებელი, თუ დაუგვიანდა, ხშირად უფრო სწრაფად მიდის ხოლმე. მე თვითონ მრავლად დავსწრებივარ საიმპერატორო მატარებელზედ, როცა კიდევ უფრო მეტის სისწრაფით უვლია მატარებელს, მაგრამ უბედურება-კი არა მომხდარა-რა.

ამბობენ, ვითომ ორი მატარებელი ჰქონდა მობმული და იმისი მიზეზია, რადგან ორს მატარებელს ისე თანაბრად ვერ ამოქმედებს კაცი, რომ წი-

---

ვერ მიიღო დიპლომი და ამიტომ ცხოვრების მდიდრად აჭრელებულს სუფრაზე არ ეღირსა ადგილი,—მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ახალგაზდობის უფროს-ერთმა მაინც იქამდე აიწია სულითა და გულით, ხასიათის სიმტკიცითა და პატიოსნებით, აზრითა და შეხედულობით, რომ იგი დღეს არის მადლიერი და ღირსეული მემკვიდრე მთელის იმ მცნებისა, რომელიც უანდერძა მას თერგ-დალეულმა და რომელსაც იგი უფრთხილდება და უვლის ისე, როგორც თავისს ორთავე თვალის ჩინსა და სინათლეს. ამაზედ დამეთანხმება ყოველი ჩემი მკითხველი, ვისაც თვალ-ყური უდევნებია ჩვენის ცხოვრებისათვის. ასეთი მემკვიდრეობა იქამდე ძვირფასი უნდა იყოს ჩვენთვის, რომ ჯერ მარტო ამის გამო პატივს მაინც უნდა ვსცემდეთ ჩვენს ახალგაზდობას, თუ მეტი არა. და რაღას იტყვით, როდესაც თვალს აახელთ და შეჰნიშნავთ, რომ ახალგაზდას არა თუ მარცვალ-მარცვალ აუკრეფია და მძივივით აუსხავს სწავლა-მოძღვრება თერგ-დალეულისა, არამედ კიდეც მოუხერხებია და თავისს მძიმე გარემოებაში ერთი ნაბიჯიც წინ გადუდგამს ცხოვრების წარმატებისა და აზრის წინ-მსვლელობის სარბიელზედ.

**

როგორც ვიცით მსოფლიო ისტორიისა, აუცილებელი და ლოღიკური შედეგი ადამიანის პიროვნების უფლებათა გათანასწორებისა, რომელსაც ასეთის აღტაცებით მიეგება თერგ-დალეული, უნდა ყოფილიყო ის აზრი, რომ ყოველ ადამის ძეს თანაბარი უფლება ჰქონდეს მინიჭებული აგრეთვე ქვეყნისა და ბუნების სიკეთის ხმარებასა და გამოყენებაში, რომ ერთის უპირატესობა არ უშლიდეს მეორის კეთილდღეობას, რომ იარაღი შრომისა და გარჯისა ეკუთვნოდეს იმას, ვინცა შრომობს და ირჯება, ამასთანავე ნაყოფი შრომისაც სრულიად ეკუთვნოდეს მშრომელს, რომ ამას შეეძლოს ნაყოფის გამოყენება ისე, როგორც აგონებს საკუთარი და საზოგადო საჭიროება. ამ მსოფლიო აზრმა მოიკიდა ფეხი რუსეთში და აქედამ ბინა გაიკეთა ქართველებშიაც. ჩვენმა ახალგაზდამ იწამა ეს აზრი და გაიგო, რომ ქვეყნის ბედნიერება და სიკეთე მჭიდროდ არის დამოკიდებული იმაზედ, თუ რამდენად ძლიერია ხალხის უმეტესობა ქონებით. საეკონომიო მეცნიერების თავი და თავი ჭეშმარიტებანი შეიქმნენ ახალ მცნებად, ქვეყნის სიმდიდრის გაბევრება და სამართლიანი მოფენა შეიქმნა ახალ ჭეშმარიტებად, რომელსაც დაადგნენ საუკეთესო კაცები ყოველის დაწინაურებულის ქვეყნებისა და აქედამ რუსეთისა. ოფლითა შენითა სჭამდე პურსა შენსაო,—ეს სიტყვები საღმთო წერილისა შეიქმნა ახალ საფუძვლად, რომლითაც ხელმძღვანელობდა შემდეგი თაობა დაწინაურებულის აზრისა. ხალხის კეთილდღეობის აწევა და მოღონიერება ეკერა პირზედ ჩვენს ახალგაზდასაც და მთელი იმისი ჭკუა-გონება შესჩერებოდა ხალხსა და მიისწრაფოდა ხალხის წარმატებისაკენ.

**

მერწმუნეთ, რომ ეს აზრი თავისის სიდიადით არ ჩამოუვარდება იმის წინამორბედ აზრს იურიდიულ უფლებათა გათანასწორებისას და არც ნაკლებად აფიქრებს და ამუშავებს მთელის განათლებულ ქვეყნების ჭკუა-გონებას; მერწმუნეთ, რომ ეს აზრი და იმისნი მომხრენი ჩვენს საზოგადოებასაც დააჭდევდნენ მადლიანს ჭდეს წინმსვლელობისას, ჩვენი ახალგაზდობაც მოახდენდა შესაფერს შთაბეჭდილებას ქართულ საზოგადოებაზე, მაგრამ აქ აღმოჩნდა ერთი ისეთი დაბრკოლება, რომელთანაც ვერას გახდება მეცადინეობა არა ერთისა და ორის თაობისა, არამედ მრავლისაც. ხალხის ბედ-იღბალსა და კეთილ დღეობაზე ნაღველი არა მკითხე მიამბეობაში ჩამოერთვა მოღვაწეს და არა-მკითხე მიამბეს ხომ თავისი არ ასცდება ხოლმე, ე. ი. შეიქმნება მიტყეპილი და მიგდებული ჯერ მარტო იმის გამო, რომ თავისს სწორ-ამხანაგებში გაბედა ენის დატოკება ამ საყურადღებო საგანზედ. რაც დაემართა იმის გამო, რომ სწორისა და ამხანაგის წრეს ერთი ბეწოთი მაინც გადაალა მოედანი თავისის გამოთქმისა, ეს ყველამ კარგად ვიცით.

ამ სახით, ჩემო ბატონებო, ჩვენს ახალგაზდას ჰქონდა და დღესაცა აქვს აზრი, რომლისათვისაც უცემს მაჯა და უღელავს გული. მხოლოდ ძნელი და საავგლახო ის არის, რომ თავისის აზრებისათვის ვერ უშოვნია სარბიელი. მოდით ახლა და იმაზედაც გაჰკიცხეთ, რატომ ვერ გამოგინახიათ შესაფერი სარბიელი, თუ-კი მართლა რამ აზრი მოგეპოვებათ და გაქვსთ გულში საკუთარი „წმინდა-წმინდათაო!..“

საზოგადოდ გაკიცხვისა და კიჟინისთანა ადვილი საქმე სხვა არ მოიძებნება ქვეყანაზე, მაგრამ ამასთანავე სამართლიანის გაკიცხვისთანა ძნელსაც იშვიათს რასმე შეჰხვდებით. ყველა ჩვენგანმა საკუთარის გამოცდილებით იცის, რა ძნელია რთულს საქმეებში სამართლიანი გაკიცხვა და ამიტომ გვაპატიეთ, რომ მაგალითებს არ გიჩვენებთ.

ჰო-და, იმას მოგახსენებდით, რომ ჩვენს ახალგაზდასა ჰქონდა და დღესაცა აქვს სამოქალაქო და საზოგადოებრივი აზრი და ნათელის შარავანდედით არის შემოსილი ეს აზრი, მაგრამ რასა იქთ, როდესაც სარბიელზედ უკაცრავად ბრძანდება ჩვენის ავ-კარგიანობის დღევანდელი ვითარება და ამის გამო აზრი მოკლებულია შესაფერს აღებმიცემობას, რომელიც ერთად-ერთი ღონეა იმის ძლიერების გამოსაჩენად და გასამატებლად. როგორც მოგეხსენებათ, წინად თვით აზრი ადამიანის უფლებათა გათანასწორებისა მეტად საშიშარ საქმედ იყო მიჩნეული და ეგონათ ქვეყანა დაიქცევა, რაწამსაც ბატონ-ყმობა გადავარდება და გლეხიც ადამიანად იქნება აღიარებულიო. ბოლოს ჰკვიანმა მმართველებმა გასინჯეს და გაჩხრიკეს ბეჯითად ეს აზრი და ნახეს, რომ ამით, ქვეყანა-კი არ დაიქცევა, პირ-იქით, კარგა შესამჩნევ ნაბიჯსაც გადასდგამს წარმატებაშიო. აგრეთვე აზრი ქვეყნის კეთილდღეობის გაძლიერებისა დღეს ძალიან საშიშარ საგნად მიიღეს და ერიდებიან, თითქო მოიპოვებოდეს ისეთი უხამსი კრებული ნასწავლ ადამიანთა, რომელიც ქვეყნის დანგრევასა ჰლამობდეს, თითქო იყოს სადმე მთელი სამეცნიერო სწავლა, რომელსაც აზრადა ჰქონდეს კაცობრიობის დაღუპვა, რომ ამ დაღუპვაზე ააშენოს ვინმე თითო-ოროლის ბედნიერება.

გაუგებრობა, უყურადღებობა და შიში იქამდე მივიდა, რომ ბევრს განათლებულსაც-კი მოსდის თავში ეჭვი, ვითომც ახალს მცნებას საჩრდილად ედოს ქვეყნის ზარალი და უბედურება. რა თქმა უნდა, მოვა ის ბედნიერი დრო, როდესაც სითბო და შუქი ახალის სწავლისა გაიკვლევს ბილიკს ქვეყნის გამგეთა გულისა და გონებისაკენ, როგორადაც უფლება-

ნა-უკმო ძალამ არ იმუშაოს და უბედურება არა მოახდინოს-რაო. ესეც შემცდარი აზრია. როცა ორი მატარებელია, იმ ორში მხოლოდ ერთი ჰმოქმედობს, მეორე იმისი მაჩანჩალაა და მხოლოდ იმას ემორჩილება. სამეფო ვაგონებს ყოველთვის ორი მატარებელი უბია, მაგრამ უბედურება-კი არ მომხდარა წინად.

მესამე მიზეზად ის მიაჩნიათ, რომ ვითომ გზათა მინისტრის ვაგონი არ ვარგოდა, ძველი იყო, რელსებს ასცდა პირველად და უბედურებაც ამის გამო მოხდაო. მაგრამ არც ეს მიზეზია შესაწყნარებელი. ასე რომ ყოფილიყო, თითონ მატარებელი არ ასცდებოდა რელსებს. ორს მატარებელს იმდენი ძალა აქვს, რომ გასწყვეტდა ჯაჭვებს, რომლითაც მობმული იყო ვაგონებზე და ვაგონის დამტვრევის გამო-კი რელსებს არ ასცდებოდა. ჩვენ-კი ვიცით, რომ პირველს მატარებელს კარგად გაუვლია რელსებზე, ხოლო მეორე მატარებელი ასცდენია რელსებს.

მაშ რა არის მიზეზი? ავტორი ამბობს, რომ უფრო თვით გზის უვარგისობა უნდა იყოს აქ ბრალეულიო. კურსკო-ხარკოვის გზა კარგ გზად არას დროს არა ყოფილა მიჩნეული. მერე სამეფო მატარებლის გავლის დროს მუდამ წვიმები იყო. შეიძლება გზა ამ წვიმებმა უფრო გააფუჭა. ეს გაფუჭება ისე მოხდებოდა, რომ გარედან კაცი ვერც-კი შეატყობდა ვერაფერს. შეიძლება მატარებლის ვაგონები კარგადაც ვერ იყო ერთმანეთზედ დამაგრებული. მერე პირველი მატარებელი ზიგლის სისტემისა იყო და ამ სისტემის მატარებელს ხასიათად სჭირს გვერდ-გვერდ გადახრა. სადაც უბედურება მოხდა, იმ ალაგას მორკალული გზაა. პირველი მატარებელი უთუოდ გააგანიერებდა რელსებს და მეორე მატარებელი, ცხადია, ველარ გაივლიდა ამ რელსზე, მოსხლტებოდა გზას და მოახდენდა იმ საშინელს უბედურებას. ჩვენ მხოლოდ აზრით ვასახელებთ ამ მიზეზს და ნამდვილს-კი, ეჭვი არ არის, გამოძიება აღმოაჩენსო.

## რუსეთი

იუსტიციის სამინისტრომ აგერ უკვე რამდენიმე წელიწადია განიზრახა გამომძიებელთა მდგომარეობის რიგიანად გამოკვლევა და ამ საქმეში ცვლილებათა შემოღება. ეს განზრახვა დღევანდლამდე განზრახვადვე იყო დარჩენილი, ხოლო ეხლა ზემოხსენებულს სამინისტროს მოუსურვებია, რომ აღსრულებაში მოიყვანოს თავის მიერ განიზრახა. ამ საქმის შესახებ იუსტიციის სამინისტროსთან შედგენილს კომისიას უკვე შეუდგენია პროექტი, რომელიც სახელმწიფოს საბჭოს წარედგინება მომავალს სესიაზედ. პროექტის სიტყვით, სასამართლოს გამომძიებლად უნდა ინიშნებოდნენ ისინი, რომელნიც უმაღლესს სასწავლებელს გაათავებენ და ამას გარდა ექვსის წლის სახელმწიფო სამსახურით იუსტიციის სამინისტროს ხელ-ქვევით გამოიჩენენ თავიანთს უნარსა და ნიჭს. სასამართლოს თანამდებობის კანდიდატებს არ მიენდობათ გამოსაძიებელი საქმე სულ ერთიანად. ამას გარდა განზრახვა აქვსთ მოუმატონ გამომძიებელთ დასახარჯი ფული, რათა უფრო თავისუფლად შეეძლოსთ მოქმედება ავაზაკობის კვალის მისაგნებად. პროკურორისა და გამომძიებლის დამოკიდებულება მკაფიოდ გამოიკვლევა და გამომძიებლებს უფრო მეტი თავისუფლება მიეცემათ საზოგადოდ მოქმედებისა, რომლის თავ-მდებნი და პასუხის-მგებელნი თითონვე იქმნებიან.

— ამ ორის წლის წინად ფინანსთა სამინისტრომ აღძრა ლაპარაკი, რომ საზღვარ-გარეთ გასვლის ნებართვის ქაღალდებზედ შესაძლებელია გარდასახადი თანდათან ვუმატოთ და გავაძლიეროთო. ამის შესახებ შედგენილი პროექტი სახელმწიფოს საბჭომ დაიწუნა და უარ-ჰყო. ეხლა გამოჩენილა ვიღაცა ახირებული კაცი და შეუტანია პროექტი, რომელშიაც ნათქვამია, რომ რუსეთის ქვეშევრდომთ სრულიად უნდა აეკრძალოთ დროებით წასვლა საზღვარ-გარეთაო. თუ ასე იქმნებაო, ამბობს პროექტის შემდგენელი: მაშინ რუსეთს ყოველს წელს 200.000,000 მ. შემოსავალი მიემატება, რადგან ამ ფულს ჩვენნი მოგზაურნი უცხო სახელმწიფოებში ჰფლანგავენო.

— მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელს საზოგადოებას კავკასიისას მომავალს 1889 წ. ფულად შემწეობა მიეცემა თურმე 54,932 მანათი.

— 1887 წლის 1 იანვარს გარდაცვლილმა ალექსანდრე ივანეს ძე ჟურაველიოვმა უანდერძა ქ. სარატოვს 10,000 მანათი, რომელიც ამ ჟამად სარატოვის საურთიერთო ნდობის საზოგადოებაში შენახული. ამ ფულის სარგებელი, ანდერძის სიტყვით, „ყოველს ორს წელიწადში სარატოვის საწყალსა და გაუთხოვარს ქალებს, რომელნიც ლამაზნი არიან, 16—18 წლისანი და ნამუსიანნი, უნდა მიეცეთ მზითვად. ლატარია უნდა გაიმართოს ქალაქის საბჭოს წევრთა, საზოგადოების ბანკის დირექტორისა და სხვათა თანადასწრებით და ვისაც ერგება წილის ყრის დროს, იმან უნდა აიღოს“. ეს ახირებული ანდერძის წერილი დამტკიცებულია ოლქის სასამართლოს მიერ და აი, 1889 წლის იანვარს სარატოვის ქალაქის გამგეობაში უნდა შეიკრიბნენ ლამაზნი ქალნი სარატოვისანი და ბედი სცადონ.

— გაზ. „Нов. Вр.“-ას სიტყვით, ამას წინად ქ. ისაკიევკაში შემდეგი ამბავი მომხდარა: ქალაქის საბჭოს კრება ჰქონია რამდენისამე საგნის გადასაწყვეტად, მაგრამ გადაუდევიათ ერთის სოცარის შემთხვევის გამო. ხარჯის ანგარიშის დროს მდივანს საბჭოსას ისე მაგრად დაუსტვენია, რომ ყურადღება მიუქცევია ამ სტვენით გაკვირვებულისა და გაოცებულის ხმოსნებისა. თავ-მჯდომარეს ასეთი საქციელი უზრდელობად ჩაუთვლია და კრებისათვის წინადადება მიუცია, რომ ოქმი შევადგინოთ მდივნის უზრდელს საქციელზედაო. ასეთი აზრი ყველას მიუღია. ოქმის შედგენის დროს მდივანს გამოუცხადებია, რომ, პირით-კი არა, ცხვირით დავუსტვინე და ეს-კი უზრდელობად არ არის ჩასათვლელიო. სამწუხაროდ, მდივნის პასუხი არ შეუწყნარებიათ, კრება გადაუდევიათ და განზრახვა აქვსთ დამნაშავე პასუხის-გებაში მისცენ.

## უცხოეთი

ინგლისი. 26 ოქტომბერს ბირმინგემში დიდი კრება უნდა ყოფილიყო. ამ დღისთვის აუშენებიათ ბირმინგემში დიდი სახლი, რომელშიაც 14,000 კაცი დაეტევაო. კრებაზე უნდა დასწრებოდნენ სხვათა შორის ჯონ-მორლეი, ლორდი როზბერი და გლადსტონი. გლადსტონს უნდა წარმოეთქვა სიტყვა ამ აურებელის ხალხის წინაშე ირლანდიის საქმის გამო. ეტყობა, 79 წლის მოხუცი კაცი ჯერ კიდევ საკმაოდ ჰარმაგად არის და ხმაც დიდი აქვს, რომ 14 ათას კაცის წინაშე აპირობს სიტყვის წარმოთქმასაო,—ჰკვირობენ გაზეთები. როცა დაიბეჭდება ეს სიტყვა, ვეცდებით მისი შინაარსი ჩვენს მკითხველებსაც გავაცნოთ.

— ის კომისია, რომელიც დანიშნულია პარნელის საქმის გამოსაძიებლად, ძალიან მხნედ მუშაობს. „Times“-ის წარმომადგენელს ვებსტერს უკვე დაუსრულებია თავისის სიტყვის თქმა, ეხლა კომისია ჩვენებას ართმევს სხვა-და-სხვა მოწამეს. სხვათა-შორის ო'შისთვის ჩამოურთმევიათ ჩვენება. ო'შის უთქვამს, რომ პარნელს არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ფენიების მოქმედებაში და თუ ირლანდიისთვის მოღვაწეობდა, ამ მოღვაწეობაში მუდამ კანონიერს გზას ადგაო.

გერმანია. ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ მაგისტრატის დეპუტაცია უგულოდ მიიღო იმპერატორმა ვილჰელმმაო. ამ ამბავმა ყველანი ძრიელ დააღონა ბერლინში, მაგრამ შემდეგ, რაკი გამოცხადდა გაზეთებში, რა სიტყვა უთხრა დეპუტაციას იმპერატორმა, ბერლინელების დაღონებამ, ცოტა არ იყოს, გადაიარა. იმპერატორს დაეწყო ლაპარაკი ჟურნალ-გაზეთობაზედ; ეთქვა, რა გვარად მეკიდება კერძოდ მე და ჩემს საოჯახო საქმეებს ეს ჟურნალ-გაზეთობაო და მერე ასე განეგრძო: „დროა დავანებოთ თავი მაგ აჩემებას ჩემსა და გარდაცვალებულის მამიჩემის პირის-პირ დაყენებასა და შედარებას: ესეთი საქციელი მეტად დიდი უზრდელობაა და ღრმად აღშფოთებს ჩემს მამა-შვილურს გრძნობასაო“. პატარა ხანს უკან იმპერატორი ვილჰელმ II დამშვიდებულიყო და ასე განეგრძო: „ბერლინელი ვარ და ამიტომ ისე კარგად არსად არა ვგრძნობ ჩემს თავს, როგორც ბერლინში; მაგრამ გთხოვთ—ეცადეთ ყოველის გზით, რომ ჩემი საოჯახო საქმეები გაზეთების სალაპარაკოდ არ იყოს; ის საქმეები უფრო დიდია და საყურადღებო, რომელიც მე და ჩემს ერსა გვაქვს გასაკეთებელი; მაშასადამე, არც საჭიროა, რომ სულ სხვა საგნებს გამოვეკიდოთ. ისევ ის სჯობია, რომ ერთად შე-

---

თა გათანასწორების აზრმა იპოვა გზა და ბინა ნეტარ სახსენებელ წარსულ მმართველებში, და მაშინ მაინც გაეხსნება ფართო მოედანი ამ სწავლის აღებ-მიცემობას საზოგადოებაში, მაშინ მაინცა ჰნახავენ, რომ ახალი მცნება აშენებულია მხოლოდ საყოველთაო კეთილდღეობაზე, მარტო ქვეყნის ბედნიერებასა და წარმატებაზედ, რომ ამ მცნებას თავისს სათავეში არაფერი ავი არცა აქვს და არც საჭიროა ჰქონდეს, რომ სიკეთე თვითოეულისა ცალკე და ყველასი ერთად შეადგენს თავსა და ბოლოს ამ ახალის მცნებისა და მოძღვრებისას.

**

იმ ნეტარ დრომდე-კი ჩვენი ახალგაზდა იძულებულია მარტო წვრილმანებზე და ისიც „კეთილ-საიმედო“ წვრილმანებზე იტრიალოს და ჰხარჯოს თავისი ძალა სულისა თუ გულისა, იძულებულია გადახტეს თეატრიდამ სკოლაზე, სკოლიდამ სათავადაზნაურო ბანკზე, ბანკიდამ ჟურნალსა და გაზეთზე და ცხვარზე, ძროხაზე და, თუ გნებავსთ, დარბაისელ ღორზედაც. ახალგაზდა ენდობა მხოლოდ თქვენს გამჭრიახობას, რომ ამ წვრილმანებიდამ გამოიყვანოთ ის საზოგადობრივი აზრი, რომელიც მას ასულდგმულებს და აძლევს ღონეს შედარებითის მოქმედებისას. თუ გაამართლებთ მის ნდობასა და ამ წვრილმანებიდამ გამოჰნასკვავთ ჯეროვანს აზრსა, ხომ რა კარგი, ვერ გამოჰნასკვავთ-და—აბა ერთი ჰბძანეთ, რა ჰქმნას და რა წყალში გადავარდეს ყბად-აღებული ახალგაზდა, რომ გაუგებარი არ დარჩეს თქვენგან, ჩემო სასტიკო ბატონებო!..

თორემ წვრილმანების გარდა განა უდიდესს საქმეებში-კი არ მიუძღვის მონაწილეობა ჩვენს ახალგაზდას, თუ-კი შეგიძლიანთ დააფასოთ ამისთანა საქმეები. განა ჩვენს ახალგაზდობას ღვაწლად არ უნდა ჩაეთვალოს გინდა ის, რომ ჩვენის ქვეყნის ისტორია და ეტნოგრაფია მართლა შესანიშნავს ნაშრომ-ნაღვაწევს ჰხედავს დღესა!..

**

რაიცა შეეხება იმ საყვედურსა, რომ ახალგაზდობამ ვერა გააკეთა-რა ცხოვრებაში, ვერა შეჰმატა-რა საზოგადოებას და ვერ იჩინა თავი, მაგალითად, მწერლობაშიო, ამაზედ უნდა მოგახსენოთ, რომ თვით ეს საყვედურიც ყოვლად უსაფუძვლოა. ჩვენი ახალგაზდობა, წინააღმდეგ მოლოდინისა, არავისზედ ნაკლებ არ იღვწის არც საზოგადო სამსახურში და არც ნაკლები ნიჭი გამოუჩენია თვით მწერლობაშიაც, სადაც ერთობ ნიჭის გამოჩენა ძნელი საქმეა. მართლაც-და აბა რომელ საზოგადო დაწესებულებას გვაჩვენებთ, რომ იქ უპირველესი და საპატიო ადგილი არ ეჭიროს სწორედ იმ ახალგაზდას, რომელსაც თქვენ ასე კპილი დაადგით სრულებით უსაფუძვლოდ, უსაბუთოდ! გნებავთ, აიღეთ სოფლის სკოლა, რომელიც სრულებით ჩვენის ახალგაზდის ხელშია. რომელ ახალგაზდასაც-კი დასცალდა გამოეჩინა თავი ხალხის კეთილდღეობის ძიებაში, თქვენა ჰხედავთ, რომ თითქმის ყოველმა მათგანმა დაიდგა ძეგლი საუკუნო ხსენებისა და დაიმსახურა უხინჯო, წმინდა სიყვარული ხალხისა. ჩვენი სოფლის მასწავლებელი არა თუ მარტო ანბანს ასწავლიდა ხალხს, არამედ ჰცდილობდა მკვიდრს საძირკველზე დაეყენებინა თვით მერმისი სკოლისა და განათლებისა. საცოდავმა და ღარიბმა მასწავლებელმა იმდენი იმხნევა, იმდენი პატივისცემა დაიმსახურა ხალხში, იქამდის ასწია მთელის სოფლის გონება და საზოგადობრივი გრძნობა, რომ მოუყარა სოფლის ხალხს თავი-თავსა და საზოგადო მეცადინეობით ააშენებინა სოფელში ისეთი სკოლა, რომ ზოგს ქალაქსაც ვერ მოუხერხებია ამისი მსგავსი. განა ერთსა და ორს სოფელში ჰნახავთ ამისთანა სკოლას! ამას ცოტა უნარი უნდოდა, ცოტა მხნეობა იყო საჭირო, პატარა სიყვარული უნდა გდებოდა გულში ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობისა, რომ ასეთი ძეგლი აგეშენებინა საჩუქრად შენის მეცადინეობისა! ამ გვარსავე თავდადებულობასა ჰხედავთ ქალაქის ახალგაზდა მასწავლებელთა და სხვა გვარ მოხელეთა შორისაც.

საზოგადო მოღვაწეობა ჩვენში ძალიან პატარა ფარგლით არის მოზომილი, მაგრამ სადაც-კი ეხლანდელს დროში ჩვენს კაცს მიუწვდება ხელი, ყველგანა ჰხედავთ, რომ საქმეში ჩავარდნილი ახალგაზდა მთელის თავისის სულითა და გულით განწირულია საქმისთვის, და თუ დღეს კეთდება რამ ჩვენში, კეთდება ბევრგან უფრო ახალგაზდის ხელით.

**

გნებავთ, თვით მწერლობაშიაც ჩაიხედეთ, სადაც, როგორც მოგეხსენებათ, ადვილი აღარ არის ნიჭისა და თავის გამოჩენა. აქაც ჰხედავთ, რომ არც ლიტერატურა დარჩა უწვლილოდ ახალგაზდობისაგან. მაგალითად, განა ალექსანდრე ყაზბეგმა თავისის ბედნიერის ნიჭით თავი არ იჩინა, როგორც საუკეთესო ბელეტრისტმა. განა თვით მუზამ ჩვენს პროზაიკულ დროში არ იპოვა ისეთი ნიჭიერი მსახურები, როგორებიც არიან ბ-ნები ვაჟა-ფშაველა და ბაჩანა. აბა ახლა გასინჯეთ გონების თვალით ყოვლად შესანიშნავი ღირსება მელანიას „ზნელოსი“, რომელიც ჯერ მხოლოდ კალმის გამოცდაა ახალგაზდა ავტორისა. აილეთ ახლა სამეცნიერო წერილები ბ-ნთა თავისუფალ სვანისა, ურბნელისა, გიორგიძისა და სხვათა.

ამასთანავე თქვენა ჰხედავთ საქებურს ცნობის-მოყვარეობას ახალგაზდობისას, რომელიცა სცდილობს ანგარიში მისცეს თავისს თავსა და საზოგადოებას მასზედ, თუ რა ღირსებისა და ნაკლულევანებისანი იყვნენ ახლო წინაპარნი. მაშინ-როდესაც თერგ-დალეული სრულიად კმაყოფილი იყო თავისის თავისა, შეჰხაროდა თავისს გამარჯვებას და არ უნდოდა სცოდნოდა არა თუ თავისი მამები, არამედ საკუთარი ამხანაგებიც, ამ დროს ჩვენი წარმომადგენელი ახალგაზდა, ბ-ნი იონა მეუნარგია, მთელს თავისს ყმაწვილ-კაცობას ანდომებს იმას, რომ სინიდისიერად შეისწავლოს ჩვენი ისტორიული კაცები, როგორნიც იყვნენ ალექსანდრე ჭავჭავაძე, გიორგი ერისთავი, გრიგოლ ორბელიანი და სხვები. პირველად მხოლოდ ახალგაზდამ დაგვანახვა სრული ღირსება და ნაკლულევანება ამ გამოჩენილ კაცებისა. რაღა თქმა უნდა, რომ ამაზედ არ შედგება ხალისი ჩვენის ვინაობის შესწავლისა და გამოკვლევისა.

ჩვენს ახალგაზდობას ეკლა იმის მეტი აღარა უჭირს-რა, რომ მოიკრიბონ თავი თავსა, მისცენ ერთმანეთს მხარი მხარსა და საზოგადო რჩევითა და ბჭობით განაგრძონ თავიანთი საყვარელი საქმე ხალხის სამსახურისა.

მაგრამ აქ წერტილი დავსვათ. იქნება კვლავ მოგვეცეს შემთხვევა ამ საგანზედ ბაასისა და იქნება მაშინ უფრო უკეთ გავარკვიოთ ჩვენი აზრი ყოველსავე იმაზე, რაც ამ წერილებში გვქონდა დასახელებული. ეხლა-კი ბოდიშს ვიხდით, რომ აჩქარებისა გამო ზოგი ადგილი ჯეროვნად ვერ განვმარტეთ.

სანო

ვერთდეთ და ვიმუშაოთ გერმანიის სასარგებლოდა და სადიდებლად“.

## წვრილი ამბები

ამას წინად ლამანშის სრუტეში ერთს მეთევზეს, გვარად შარლ კაფიეს, ძალიან დიდი გაჭირება გამოუვლია. სადამო ხანზედ ზღვაში ნავში წოლილა, უეცრად ჯაჭვი გაწყვეტილა და ტალღას ნავი ზღვაში შეუთრევია. ოთხის დღის განმავლობაში უგზო-უკვლოდ უვლია საბრალო კაფიეს, მშიერსა და დაღურაღებულს. ამ დროს მთელი ზღვა საშინლად ჭიღლავდა. თუმცა რამდენსამე გემს შეჰხვდა და გვერდზედაც გაუარეს, მაინც მშველელი არავინ გამოუჩნდა თურმე, რადგან იმისი ჯოხზედ ამართული ფარდასი ვერ დაინახეს. მხოლოდ მეოთხე დღეს საბრალო მეთევზეს გადაუწყვეტია სიცოცხლის იმედი, შეხვეულა თავისის ნავის აფრაში და თავი ბედისთვის მიუნდვია. საბედნიეროდ, ამ დროს ტალღას ნავი ინგლისის ნაპირზე მიუგდია, ნახევრად ცოცხალ-მკვდარი კაფიე იქ შეუნიშნავთ და გადაურჩენიათ.

— გილაც ბლოკს, კარის კაცს, ქ. დრეზდენისათვის ანდერძად დაუტოვებია ახირებული მუზეუმი, თავის მიერ შედგენილი. მუზეუმში გახლავსთ ფეხთ-საცმელის კოლექცია, იმ ფეხთ-საცმელებისა, რომელიც უტარებიათ უკანასკნელს დროს მეფეებს, დედოფალთა და სხვა წარჩინებულთა კაცთა. ამ ფეხთ-საცმელში სხვათა შორის არის: ერთი წყვილი ფეხთ-საცმელი თეთრის ატლასისა, რომელიც სცმია ნაპოლეონ I-ლს თავისის გვირგვინის კურთხევის დროს; ერთი წყვილი წაღა, რომელიც ჩაუცვამს 1813 წელს დრეზდენის ბრძოლის დროს; ერთი წყვილი წაღა მიურატისა; ერთი წყვილი მაღალ-ქუსლებიანი ფეხთ-საცმელი, რომელიც უტარებია მარია-ტერეზიას; ფეხთ-საცმელივე ფილოსოფოსის კანტისა და სხვათა.

— პრინცი უელსისა იმდენად ლამაზადა და მდიდრულად იცვამს, რომ ყველა იმისი მნახველი ჰბაძავს და ისევე იცვამს, თუ შეძლება აქვს და მოდაზედ მორთვა უყვარს, როგორც პრინცი. ამ ვაჟბატონებმა, ერთის სიტყვით, ძალიან მოაბეზრეს თავი პრინცს თავიანთის მაიმუნურის მიბაძვით. ამ ბაძვის ასაცილებლად პრინცს შემდეგი საშუალება უხმარია. როცა ამას წინად ჰამბურგში ყოფილა, ჩვეულებისამებრ, ყველას იმისთანავე ტანისამოსი შეუკერია ამ ქალაქშიაც. შეუნიშნავს თუ არა პრინცს ეს ამბავი, მაშინვე ჩაუცვამს თეთრი სერთუკი და ამისთანავე შარვალი. შეუკერია წითელი პერანგი ლურჯის საყელოთი, კრემის ფერი ქუდი დაუხურავს მწვანე ლენტებით. სერთუკის ჯიბიდგან უჩანდა თურმე ცისფერი აბრეშუმის ხელსახოცი და წაღები-კი წითელის ტყავისა ჰქონდა. რაღა თქმა უნდა, ამ ჟამად მიმბაძავნი უკან დამდგარან, არ მიუბაძნიათ და პრინცისათვის ნება მიუციათ თავისუფლად სიარულისა.

— ამას წინად ჩვენ ნათქვამი გვქონდა, რომ ბერგში თავი დაირჩო ორმა ქალმა მას შემდეგ, რაკი მუხლ-მოდრეკილნი იყვნენ დიდხანს ლიუდვიგ მე-II ძეგლის წინაშე, და ორივეს გვამი სწორედ იმ მეთევზემ ამოიღო წყლიდგან, რომელმაც უბედურის მეფის გვამიც იპოვნაო. როგორც გაზეთები სწერენ, ეს ორივე დედა და ქალი უნდა იყვნენ, რადგან შეხედულობით პირველი 40—45 წლისაა, ხოლო მეორე 16—18.

ერთს აღმოსჩენია ბრილიანტებით მორთულ-მოჭედილი საათი; ორივენი რიგიანადა ყოფილან ჩაცმულნი. დარჩობილთ არავითარიმე წერილები არ აღმოსჩენიათ და ამიტომ ძნელია თურმე იმათის ვინაობის შეტყობა. შეუტყვიათ მხოლოდ ის, რომ ეს ქალნი მიუნჰენიდგან მისულან ბერგში, უკითხავსთ, სად დაირჩო თავი ბავარიის მეფემაო, როგორ მოხდა ეს ამბავი, ტბა ადამიანის დამრჩვალს გვამს უკანვე ამოაგდებს ხოლმე, თუ არაო და სხვანი. როგორცა სჩანს, ამ ქალთ საღამოს 7 საათზედ უნდა მოეყვანათ სისრულეში თავისი საშინელი განზრახვა. ამ უბედურთ, როცა ამოუღიათ ტბიდგან, პირი-სახე გალურჯებული ჰქონიათ და იმისი ნიშნები, რომ უბრძოლნიათ წყალთან და გადარჩენასა ყოფილან მოწადინებულნი. ეს თავისის თავის მკვლელნი ისე მაგრადა ყოფილან ერთმანეთზე გადახვეულნი, რომ დამრჩვალნიც-კი ძლივს მოუშორებიათ ერთი-მეორისათვის.

## დეპეშა

30 ოქტომბერი

**პეტერბურგი.** დღეს აქ ჩამოვიდა შინაგან საქმეთა მინისტრი.

მემკვიდრე ცესარევიჩი დღეს წავიდა დანიაში. მისს უმაღლესობას თან ახლავს ფლიგელ-ადიუტანტი გრაფი შუვალოვი.

გაზეთი „Гражданинъ“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო საბჭოში 17 ნოემბერს უნდა შეუდგნენ პროექტის განხილვას, რომელიც ეხება „უჩასტკის უფროსებსაო“.

**რომი.** გუშინ პაპმა ინახულა რუსეთის წარმომადგენელი იზვოლსკი.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ოქტომ.

| | მიმდევლ. ფას. | გამყიდვ. ფასი. | გაიყიდა ფასა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7 68 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | — „ | — „ | 152 |
| მანათიანი ვერცხლის ფული | 1 18 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 269 |
| —მეორისა | — „ | — „ | 241½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | 97½ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | 97 „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ. ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ნოემბერი 30 დღით არის

1 დღე სამშაბათი. წმ. კოსმასი და დამიანესი. კათოლ. დღესასწაული ყველა წმინდათა. სომეხ. იოსებისა და პლატონისა. მაჰმად. მე-9 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—47, ჩადის 4—42. მთვარე 10 დღისაა.

2 დღე ოთხშაბათი. მოწ. აკინდინასი და ილპიდიფორასი. კათოლ. მოხსენება ყველა გარდაცვალებულთა. სომეხ. მარხვაა. მაჰმად. მე-10 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—48, ჩადის 4—41. მთვარე 11 დღისაა.

3 დღე ხუთშაბათი მოწ. ეპ. იოსებისა და აღათიასი და გიორგისა. კათოლ. ეპ. მალახიასი. სომეხ. წმ. პატრიარქთა მიტროფანისა, ალექსანდრესი და პავლესი. მაჰმად. მე-11 რიცხვი თთვისა რები-ულ-ევველისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—45. ტფილისში მზე ამოდის 6—48, ჩადის 4—40. მთვარე 12 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა | 4 | „ |
| მე-3 — | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა | 8 | „ |
| ღორის ხორცი | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ-შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით; ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს კადაზე გემები.

## განცხადებანი


ისყიდება სოხუმიდამ 24 ვერსზე

მამული ვორონოვისა

ათასი დღიური შენობებითა და სამეურნეო მოწყობილობით.

ვისაც ჰსურს შეიძინოს ეს მამული, მიჰმართოს დაწვრილებით გარემოების შესატყობად სოხუმში ივანე ვასილის ძეს ენიუტინს. (24—4)

გამოვიდა და ისყიდება
ახალი ქართული წიგნი

მამიდა ასმათი

მოთხრობა
გ. წერეთლისა.
გამოცემული „ივერიის“ რედაქციის მიერ.
ფასი 20 კ.

წიგნი ისყიდება მხოლოდ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ-საწყობში, ბანკის ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე.

ნამდვილი საუნჯეა
ყველასთვის განთქმული წიგნი
თავის მკვლია
თხზ. დ—რის რეტაუსი
რუსულად გამოცემული 3-ის სურათით
ფასი 1 მანათი.

წაიკითხოს ყველამ ეს წიგნი, ბევრი გადაურჩენია და დაუხსნია ამ წიგნს სიკვდილისაგან.

ვინც მანათს გაუგზავნის გამომცემელ რ. ფ. ბირეს წიგნის მაღაზიას ლეიპციგში, მიიღებს წიგნსა.

ადრესი: გერმანია, R. F. Bierey's Verlage-Magazin in Leipzig. (50—46)

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების
წიგნთ-საწყობში
(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 109, 101)
ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. კაპ. |
|---|---|
| ქართული გრამატიკა, შედგენილი არ. ქუთათელაძისაგან | „ 40 |
| ხუთი ამბავი, საყმაწვილო ამბები. ფრანგულიდამ გადმოღებული ან. თუმანიშვილის მიერ | „ 15 |
| ორ-მეტყველება, სახელმძღვანელო გრამატიკისა, ზ. ჭიჭინაძისა | „ 40 |
| ქადაგებანი გაბრიელ ეპისკოპოზისა I ნაწ. | 1 50 |
| II ნაწ. | 1 50 |
| ბუნების მოყვარენი, ს. მესხიაშვილისა | „ 15 |
| ფშაური ლექსები, გაზ. „ივერიის“ გამოცემა | „ 40 |
| ჰამლეტი, ტრაგედია შექსპირისა, ინგლისურით ნათ. ი. მაჩაბლის მიერ | „ 30 |
| ქადაგებანი და მოძღვრებანი ამბროსი ნეკრესელისა, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოცემა | „ 50 |
| საბა-სულხან ორბელიანის ლექსიკონი, ალექსანდრე ეპისკოპოზის გამოც. | 3 „ |
| მცხეთის ტაძარი, გამოც. ღამბაშიძისა | „ 25 |
| გელათის მონასტერი, გამოც. ღამბაშიძისა | „ 25 |
| საიბიკონი, რ. ხუნდაძისა | 1 „ |
| საახალწლო, ნ. ნიკოლაძისა | „ 40 |
| საქართველოს მეფეებზე, გულისაშვილისა | „ 15 |
| გულივერის მოგზაურობა | „ 50 |
| საუკეთესო ცოდნა, გიორგი წერეთლისა, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა | „ 20 |
| ოტელლო, შექსპირის ტრაგედია, ი. მაჩაბლის ნათარგმნი ინგლისურიდამ | „ 50 |
| სამართლის წიგნი ვახტანგ რჯულ-მდებლისა (რუსულს ენაზე) | „ 35 |
| ვაზის ობი | „ 10 |

კერძო ექიმი

პროზბრაშენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექხანოვის, სახლი, № 103. (10—10)

დედა-ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ
ისყიდება
„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.


Доз. ценз. Тифлисъ, 30-го Октября 1888 года. სტამბა ე. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинской ул. пом. Т. Д. З. Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე